www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება

2018

მარტი

www.geostat.ge

30.04.2018

30.04.2018

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, მარტი 2018

წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2018 წლის მარტში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 5,6 პროცენტი, ხოლო I კვარტალის საშუალო რეალურმა ზრდამ 5,2 პროცენტი შეადგინა.

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, 2018 წელი
წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (%)



წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2018 წლის მარტში მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნებოდა სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევაში, დამამუშავებელ მრეწველობაში, ტრანსპორტში, უძრავი ქონებით ოპერაციებში და ვაჭრობაში.

ყოველთვიური ეკონომიკური სტატისტიკა

მარტი 2018

ფასების სტატისტიკის მაჩვენებლები

	წინა წლის შესაბამის თვესთან	წინა თვესთან
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	102,8	99,6
სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი	106,5	99,1

საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებლები 2018 წ. იანვარი-მარტი

	მლნ. აშშ დოლარი	ცვლილება % (წინა წლის შესაბამის პერიოდთან)
საქონლის ექსპორტი (FOB)	740,3	28,4
საქონლის იმპორტი (CIF)	2 083,4	21,6
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	2 823,8	23,3

საქონლით საგარეო ვაჭრობა, 2018 წელი
(მლნ. აშშ დოლარი)



სამეწარმეო სფეროს სტატისტიკის მაჩვენებლები

	მარტი
ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა (ერთეული)	4 786
ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%)	-0,5
ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა (მლნ. ლარი)	5 855,9
ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%)	12,1



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები, 2018 წელი
(მლნ. ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საბანკო სფეროს მთლიანი გამოშვება, 2018 წელი
(მლნ. ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

საინფორმაციო ფურცელი

2012 წლის იანვრიდან საქსტატი ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის ტემპის ყოველთვიურ წინასწარ შეფასებებს, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, ყოველთვიურად შესაძლებელია მოხდეს წინა თვეების დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების კორექტირება, რაც, შესაბამისად, რეალური ზრდის ყოველთვიური წინასწარი შეფასების მონაცემის კორექტირებასაც იწვევს.

საკონტაქტო პირები: ლევან ქარსაულიძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302). E-mail: lkarsaulidze@geostat.ge; info@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge; info@geostat.ge